

სარბიელი FRANCE 98

ნარბიელი მონაწილეებს



დ ჯგუფი

12 ივნისი
პარაგვაი - ბულგარეთი
მონპელიე 16³⁰

13 ივნისი
ესპანეთი - ნიგერია
ნანტი 16³⁰

19 ივნისი
ნიგერია - ბულგარეთი
პარიზი 19³⁰

ესპანეთი - პარაგვაი
სენტ ეტიენი 23⁰⁰

24 ივნისი
ესპანეთი - ბულგარეთი
ლანსი 23⁰⁰

ნიგერია - პარაგვაი
ტულუზი 23⁰⁰

ესპანეთი

ტერიტორია: 505 000 კმ²
მოსახლეობა: 40 000 000

დედაქალაქი: მადრიდი
ფედერაცია: Real Federacion Española de Futbol

რეზიდენცია: მადრიდი
დაარსდა: 1913
ვიზა: 1913
უიზა: 1954
პრეზიდენტი: ანტონ მარია ველიარი

მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატებზე

1930	—	1958	შესარჩვენი	1978	ჯგუფი
1934	1/4 ფინალი	1962	ჯგუფი	1982	1/4 ფინალი
1938	—	1966	ჯგუფი	1986	1/4 ფინალი
1950	IV ადგილი	1970	შესარჩვენი	1990	1/4 ფინალი
1954	შესარჩვენი	1974	შესარჩვენი	1994	1/4 ფინალი

ნიგერია

ტერიტორია: 923 770 კმ²
მოსახლეობა: 102 000 000

დედაქალაქი: ლაგოსი
ფედერაცია: Nigeria Football Association

რეზიდენცია: ლაგოსი
დაარსდა: 1945
ვიზა: 1959
კავ: 1959
პრეზიდენტი: აბდულმუნი ამინუ

მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატებზე

1930	—	1958	—	1978	შესარჩვენი
1934	—	1962	შესარჩვენი	1982	შესარჩვენი
1938	—	1966	—	1986	შესარჩვენი
1950	—	1970	შესარჩვენი	1990	შესარჩვენი
1954	—	1974	შესარჩვენი	1994	1/4 ფინალი

პარაგვაი

ტერიტორია: 406 752 კმ²
მოსახლეობა: 4 615 000

დედაქალაქი: ასუნსიონი
ფედერაცია: Liga Paraguaya de Futbol

რეზიდენცია: ასუნსიონი
დაარსდა: 1906
ვიზა: 1921
კონფედერაცია: 1921
პრეზიდენტი: ოსკარ კარდოსონი

მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატებზე

1930	ჯგუფი	1958	ჯგუფი	1978	შესარჩვენი
1934	—	1962	შესარჩვენი	1982	შესარჩვენი
1938	—	1966	შესარჩვენი	1986	1/4 ფინალი
1950	ჯგუფი	1970	შესარჩვენი	1990	შესარჩვენი
1954	შესარჩვენი	1974	შესარჩვენი	1994	შესარჩვენი

ბულგარეთი


ტერიტორია: 110 912 კმ²
მოსახლეობა: 8 769 000

დედაქალაქი: სოფია
ფედერაცია: Bulgarski Futbolen Soiuz

რეზიდენცია: სოფია
დაარსდა: 1923
ვიზა: 1924
უიზა: 1954
პრეზიდენტი: ივან სლავკოვი

მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატებზე

1930	—	1958	შესარჩვენი	1978	შესარჩვენი
1934	შესარჩვენი	1962	ჯგუფი	1982	შესარჩვენი
1938	შესარჩვენი	1966	ჯგუფი	1986	1/4 ფინალი
1950	—	1970	ჯგუფი	1990	შესარჩვენი
1954	შესარჩვენი	1974	ჯგუფი	1994	1/4 ფინალი




სტად დე ლა მოსონი მონპელიე
35 500 მაყურებელი, აშენდა 1974 წელს



სტად შოვრუა ბიშარი სენტ ეტიენი
36 000 მაყურებელი, აშენდა 1931 წელს



სტად დე ლა ბოშუარი ნანტი
39 000 მაყურებელი, აშენდა 1984 წელს



სტად ველიქს ბოლერი ლანსი
41 275 მაყურებელი, აშენდა 1932 წელს



პარკ დე პრენსი პარიზი
49 000 მაყურებელი, აშენდა 1972 წელს



სტად გუნისიპალი ტულუზი
37 000 მაყურებელი, აშენდა 1948 წელს

დ ჯგუფს კენჭისყრის დამთავრებისთანავე სიკვდილის ჯგუფი უწოდეს. მართლაც, აქ ოთხი ძლიერი, თითქმის თანაბარძალოვანი გუნდია თავმოყრილი. ვინ მოიგებს ნიგერია თუ ესპანეთი? ესპანეთი თუ ბულგარეთი? ნიგერია თუ ბულგარეთი? ან იქნებ სულაც პარაგვაიმ გაამწაროს რომელიმე ამათვანი?

წინასწარ მართლაც ვერაფერს იტყვი, ვარდა ერთისა: მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი ამ ჯგუფში არ უნდა ვეძებოთ. მაგრამ ჯობს ამ ნათქვამს დავამატოთ სიტყვა ალბათ. მართალია, სიკვდილის ჯგუფში სუპერგუნდი არ გვეგულეება, მაგრამ ვთქვათ ნიგერია, რომ სადმე მეოთხედფინალში ან ნახევარფინალში გავიდეს, გასაკვირი არ იქნება. იქ, ბოლო ორ თამაშში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რაკი ნიგერია მაინც გამოეყავით, ისიც ვთქვათ, რომ „სუპერარწივეებს“ სათავეში ცნობილი ბორა მილუტინოვიჩი უდგათ. თანაც არსებობს ბრძენკაცთა წინასწარმეტყველება, მე-20 საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მწვერვალს აფრთხილებს და დაიპყრობსო. და მაინც, საეჭვოა. ჯგუფი კი უთუოდ სიკვდილისაა.

შეყვების ვენდებზე ვაეცნობი ილია ჭაჭუნაძეილი

ბულგარეთი წუთისწილი ასეა

1971 წელს, ბულგარეთის ჩემპიონატი კალენდარმა ერთი არაფრისმთქმელი მატჩი მოიტანა, სოფიის „ლევისკი“ სტუმრად „ბოტევს“ უნდა შეხვედროდა. დედაქალაქის გუნდი ავტობუსში ჩავსა და გზას გაუდგა. ავტობუსში არ იყვნენ მხოლოდ ორნი, გეორგი ასპარუხოვი და ნიკოლაი კოტკოვი. ისინი ასპარუხოვის „ალფა რომეოში“ მიქროდენ მთავორიან ტრასაზე.

„ალფა რომეო“ მოსახვევიდან რომ გამოიშვებოდა, მძღოლმა ბენზინის შიდი სატვირთო მანქანა დააღწია. სატვირთოს გზა გადაეხურა. ავარიის თავიდან აცილებს თითქოს კი შეიძლება, მაგრამ საუბედუროდ, მანქანა, რომელშიც ფეხბურთელები იხდნენ,



გეორგი ასპარუხოვი

მეტისმეტად სწრაფად გამოვარდნილი იმ ავბედითი მოსახვევიდან. მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ „ალფა რომეო“ მუხრუჭით 40 მეტრი გაისრიალა. ტრაგედიის შეჩერებას 40-მეტრიანი მუხრუჭი არ ეყო.

შეჯახებისგან ხანძარი განწდა. როდესაც მანქანა რაზმები უბედურების ადგილზე მივიდნენ, გადასარჩენი აღარავინ დახვდათ, ორივე მანქანისგან შავი ჩონჩხები იყო დარჩენილი.

სოციალისტური ბულგარეთის მთავრობამ ბუნებრივია, მომხდარის დამალვაზე იზრუნა. ბულგარეთში, ისევე როგორც კომუნისტურ მოწამულ სხვა ქვეყნებში, ხომ ტრაგედია არ უნდა დატრიალებულიყო. გაზეთები დუმდნენ. თითქოს არაფერი, ისე აღწერდნენ ჩემპიონატის მორიგი ტურის

ამბებს.

ასპარუხოვისა და კოტკოვის დაღუპვის ამბავი ჩურჩულით გადადიოდა ყურიდან ყურში. ყველაზე გაბედულმა ადამიანებმა (ასეთი ერის სასახელოდ რამდენიმე ასია ალმონდა) დაკრძალვაზე მისვლით მაინც მიაგეს პატივი გარდაცვლილთა ხსოვნას, ბულგარული ფეხბურთის ისტორიაში კი საშინელი, შავი ფურცელი ჩაიწერა.

ნიკოლაი კოტკოვი ცნობილი ფეხბურთელი იყო, 1964 წელს ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ იყო აღიარებული. იმისთვის, რომ ასპარუხოვთან ერთად ეთამაშა, კოტკოვმა გუნდი გამოიცვალა, „ლოკომოტივიდან“ „ლევისკიში“ გადავიდა და...

გეორგი ასპარუხოვი კი ბულგარეთის ფეხბურთის ადვილად ვარკველავი, მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე გახლდათ. უცნაური ბედის კაცი იყო ასპარუხოვი, შესარჩევ ციკლებსა და საკლუბო ფეხბურთში ბრწყინავდა, უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი რატომღაც ჩრდილში ექცეოდა. გაიხსენოთ თუნდაც 1966 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპი, სადაც ბულგარეთს ინგლისში წასასვლელ საგზურს ბელგია ეცილებოდა. კონკურენტებმა შინ დიდი ანგარიშით აჯობეს ერთმანეთს და ამიტომ გადათამაშება დაინიშნა. გადათამაშების ადგილი — ფლორენცია, ანგარიში — 2:1 ბულგარეთის სასარგებლოდ, გამარჯვებულთაგან ორივე გოლის ავტორი — გეორგი ასპარუხოვი.

იმ წელიწადს ასპარუხოვი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მაგრამ აი, დადგა მსოფლიოს ჩემპიონატის დღეები და გმირი უმწყოდ იქცა. ბულგარელებმა იმ პირველობაზე სამი თამაში წააგეს და შინ უსახელოდ დაბრუნდნენ. ერთადერთი, რითაც გუნდმა ხალხს თავი დაამახსოვრა, უხეშობა იყო. ბრანზილისთან შეხვედრაში მცველმა ფერემა ბელეს კინაღამ ფეხი მოტეხა.

1970 წლის ჩემპიონატისთვის ასპარუხოვს თავდასხმაში ჩინებული მეწყვილე, ხრისტო ბონევი გამოუჩნდა. დღეს ბონევი ბულგარეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელია, მას მიჰყავს ნაკრები საფრანგეთში. მაშინ, 28 წლის წინ კი ბონევისა და ასპარუხოვის დუეტმა შესარჩევ ციკლში მეტოქეებს ბდღვირი აღინა. გუნდის მიერ გატანილი 12 გოლიდან რვა მათი მონაგარი გახლდათ.

რა უღობვლოდ გადის დრო. მტვერი აყრია ახლა იმ ამბებს. დღეს სხვა



ბულგარეთის ნაკრები. დგანან: ივანოვი, ზდრავკოვი, იანკოვი, ლეჩკოვი, გუნჩევი, პენევი; სხლან: ზაფიროვი, კიშიშევი, სტოიჩკოვი, ილიევი, ივაილო პეტკოვი

ხალხია მოედანზე და ისინი ისე ცნობილი არიან, რომ ოცდაათი-ორმოცი წლის წინანდელი ვარსკვლავები და ვინაობადაც ჩვენს ცინიკურ დროში შესაძლოა მაგანისთვის სასაცილოდ ჩანდეს.

დღეს სტოიჩკოვის ეპოქაა. ბალაკოვი, ლეჩკოვი, ივანოვი, კოსტადინოვი, პენევი...

გულშემატკივართათვის ეს გვარები კარგადაა ცნობილი. ამ ფეხბურთელებმა ოთხი წლის წინ, აშშ 94-ზე გაითქვამს სახელი, მართლა საუცხოოდ ითამაშეს.

ახლა ისინი ოთხი წლით დაბერებული არიან. კარგია ეს თუ ცუდი? ალბათ, უფრო ცუდი, რადგან სიახლე არ ჩანს, გუნდს თითქოს ახალი სისხლი აკლია.

„იმაზე ლაპარაკი, რომ ისევ მეოთხე ადგილზე გავალთ, არაა რეალისტური“ — ამბობს ხრისტო ბონევი და ეტყობა, მართალია. აგერ არ იყო, ორი წლის წინ, ევრო 96-ზე ბულგარელები პირველ ეტაპს რომ ვერ ვაცდნენ?

თუმცა იმასაც ამბობენ, მართალია ამ გუნდის ვარსკვლავთა უმეტესობა უკვე 30 წელზე მეტისაა, როგორც ფეხბურთელები ჯერ კიდევ მყარად დგანან ფეხზე. სტოიჩკოვი, მაგალითად ისევ დიდ გულზეა, კოსტადინოვი, ბალაკოვი და სხვანი მაღალი

კლასის ოსტატებად რჩებიან.

ბონევი გუნდის გადახალისებას ცდილობს, მაგრამ შედეგები ჯერ მთლად სასურველი არ აქვს. მარტში ბულგარელები არგენტინაში იყვნენ ამხანაგურის სათამაშოდ და 0:2 წააგეს. შემდეგ სკოპიეში მაკედონიას ესტუმრნენ და იქაც დამარცხდნენ — 0:1. ნერვები აპრილში მაროკოსთან 2:1-მა დააწყნარა.

რამდენიმე ახალწვეულიც ეზომება ნაკრების მაისურს, მაგალითად „სლავიას“ 22 წლის მოთამაშე გეორგი ბაჩევი, მისი თანატოლი ივაილო პეტკოვი „ლიტექსიდან“ და ასევე ლიტექსელი 19 წლის სვეტოსლავ ტლოროვი.

ორი 24 წლის ორი ახალგაზრდაც ერთი ცსკა-ში თამაშობს, მას მიღწენ პეტკოვი ჰქვია, მეორე კი მარიან პრისტოვიცა გერმანული „კაიზერსლავტერნიდან“.

და მაინც, ბონევი თვლის, რომ ბერი მათგანისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ცოტა ნაადრევია, სიმწიფე აკლიათ.

„ახალგაზრდა ტალანტებს ვეძებ, მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს, შედეგს კი ერთ დღეში, მოგვსენებათ, ვერ მიადრწევ“ — ხმადალა ფიქრობს მწვრთნელი, რომელიც ბულგარეთის ჩემპიონატის დაბალი დონითაც უკმაყოფილოა — „წლებია რაც ბულგარეთის პირველობა უზარისხოდ ტარდება. როცა საერთაშორისო მატჩს ვატარებთ, თვალნათლივ ჩანს, როგორ ჩამოვრჩით“.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბონევის ძველ ვარსკვლავებზე მოუწევს დაყრდნობა. არადა, ბევრი იმასაც ამბობს, ძველ ვარსკვლავთა თაობას სტიმული აღარ აქვს, მან ხომ ბულგარეთისთვის არნახულ შედეგს უკვე მიადრწევია.

კიდევ, მწვრთნელის პრობლემა ისაა, რომ მის მოთამაშეთა უმეტესობა უცხოეთის მდიდარ კლუბში თამაშობს, მდიდარ კლუბებს კი ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ ნაყიდი და თითოეულ მათგანს რეგულარულად როლი ათამაშებენ. მაგალითად, სტოიჩკოვმა „ბარსელონაში“ ძალიან ბევრი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ამიტომაც იყო ბონევისთვის სასიამოვნო რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გადაწყვეტილება, ბულგარულ კლუბებში მოედანზე ყოფნა რომ არჩიეს უცხოეთში სკამზე ამაყად ჯდომას, სტოიჩკოვი, ივანოვი და კოსტადინოვი რამდენიმე თვის წინ სოფიის ცსკა-ში გადავიდნენ.

სტოიჩკოვი 32 წლისა მოიყარა. საფრანგეთში თავის გამოჩენის ბოლო შანსი რომ აქვს, მას ძალიან კარგად მოეხსენება და როგორც მრავლისმცოდნე პროფესიონალი გამალებულ მზადებაშია.

„ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო, რათა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კარგ ფორმაში ვიყო. ვგონებ, საამისოდ

დროც საკმარისი მაქვს“ — ამბობდა თავდამსხმელი ცოტა ხნის წინ.

აი, 29 წლის ლეჩკოვს კი რაღაც სხვა უდევს გულში. ბოლო დროს თამაშს გულს ვეღარ უდებს და ბონევის ათქვენიცა, მის გუნდში მიწვევას რა აზრი აქვს, თუ ფეხბურთს აღარსად თამაშობსო. არადა, ვახსოვთ ოთხი წლის წინ გერმანელებს რა თავური დატოვებინა მსოფლიოს ჩემპიონატი? „ექვსი წელიწადია ერთად ვართ, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენ, აშშ



ბულგარელებს საფრანგეთისკენ გზა ტრიფონ ივანოვის გოლმა გაუხსნა

94-ის გუნდი გულშემატკივრებს წლებულსაც ბევრ საინტერესოს შევთავაზებთ“ — ამას ტრიფონ ივანოვი ამბობს, რუსეთის ნაკრების კარში იმ გოლის ავტორი, ბულგარელებს საფრანგეთის საგზური რომ მოუტანა.

„გერმანელებმა ცოცხალი კედელი აღმართეს. ბურთთან სტოიჩკოვი მივიდა და დაუეწიყარი ჯარიმა დაატრყა. ის გოლი კლასიკად იქცა. ამის შემყურე, მაშინ 47 წლის პენკე სტოიჩკოვას გული შეუღონდა, სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გააქანეს. დიაგნოზი: გულის შეტევა შვილის ზღაპრული გოლის ნიადაგზე. ლეჩკოვის გოლზე ზევით მოგახსენეთ. სტოიჩკოვმა გაქვითა, ლეჩკოვმა გაიმარჯვა.“

მეორე დღეს სოფიის მაღაზიებში 50-პროცენტია ფასდაკლება იყო, ყველაფერი იაფად იყიდებოდა...

გნახოთ... დღეს სოფიაში ტყუილად კაპიკს არავინ დაგვიკლებს და პენკე სტოიჩკოვაც ოთხი წლით ხნეირია.



გერმანელებმა ცოცხალი კედელი აღმართეს. ბურთთან სტოიჩკოვი მივიდა და დაუეწიყარი ჯარიმა დაატრყა

პარსკვლავთმერი სხვალი

ბულგარულს რომ ჰქონოთ, მათ ქვეყანაში თუ ვინმეს ეკუთვნოდა ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელობა...



მწვრთნელს დიმიტარ ჰენეს არ ჩაბარებოთ. სტოიჩკოვი ბულგარეთში, მით უმეტეს...

ლზე მოცვენიერ არსდროს იქცევა. ფაქტი გნებავთ? ავერ ახლა, მაროკოსთან ამხანაგური შეხვედრის შემდეგ წინ ტრიფონ ივანოვი და კიმილ კოსტადინოვი...

გოლი შეაგდო, რაც მწვრთნელს ნიშნავდა. მწვრთნელობას სრისტო ბონევი 1984 წელს შეუდგა...

Table with columns for date, teams, and scores. Title: ბულგარული უფლებები გოლი ვინც ახანავლობდა

Table with columns for date, teams, and scores. Title: ბულგარული მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში

13 ჩხუბიანი ნაღიანი



იქნებ 32 წლის სრისტო სტოიჩკოვი ცუდ ფორმამც იყოს, მაგრამ ბულგარეთის ნაკრებს მისი მარცხენა ფეხი და უტიფარი აგრესია...

მეკარები

ზღვრამკო ზღვრამკოვი (ისტანბულს-ფორი, თურქეთი), 27 წლისაა, ნაკრებში 15-ჯერ უთამაშია...

გორისლავ მიხაილოვი (სლავია), 36 წლისაა, ნაკრებში 101 მატჩი აქვს ჩატარებული...

არლოსტინ სტანევი (ცსკა), 22 წლისაა, ნაკრებში ჯერ არ უთამაშია...

მცველები

არლოსტინ კიშივიკი (ლიტექსი), 23 წლისაა, ნაკრებში 22-ჯერ უთამაშია. ნიჭიერი ახალგაზრდაა...

ნაკრების კანდიდატები

დლი მებრძოლია, შესარჩევ შეჯიბრებებში გუნდს კაპიტნობდა და ექვსი გოლიც გაიტანა...

ნახევარმცველები

ზღვრამკო ნახევარმცველი (ბუვიტაში, თურქეთი), 31 წლისაა, ნაკრებში 66-ჯერ უთამაშია...

თავდასხმელები

სრისტო სტოიჩკოვი (ცსკა), 32 წლისაა, ნაკრებში 70-ჯერ უთამაშია. 1994 წელს გახდა ევროპის საუკეთესო...

დასრულდა

გან ყველაზე სამახსოვრო 1993 წელს, „პარკ დე პრენსზე“ ფრანგებს გაუტანა თამაშის დამთავრებამდე...

პარაგვაი

თავისუფალი მსოფლიოს უთამაშებელი

თუ სიტყვა გუარანის გამოთქმა გსურთ, იცოდეთ, მახვილი ბოლო ხმოვანზე, ი-ზე უნდა გააკეთოთ, ამ შემთხვევაში თქვენ სწორედ, ნაღდი პარაგვაელი იტყვიან, რა პეკია ქვეყნის ეროვნულ გუნდს არაოფიციალურად...
თუ განიტერესებთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა, განმარტებისათვის ინდიელთა ისტორია უნდა გადაიკითხოთ. სწორედ ისტორიის წიგნებში ნახავთ, რომ სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ კი პარაგვაიში და ბრაზილია-არგენტინის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ ძველიაშეკვნილი ტომები კენუა, აიმარა და გუარანი. გუარანის ტომის ხალხს დღეს უპირატესად პარაგვაის მოქალაქეობა აქვთ მიღებული. თუ იქაურ წყაროებს ვენდობით, გუარანის შვილებმა მეოცე საუკუნეში ნადირობის, თევზაობისა და ბრძოლის ტრადიციულ უნართან ერთად ახალი ნიჭიც გამოავლინეს. ამ ნიჭს ფეხბურთის თამაში ჰქვია.

ოს ჩემპიონატზე აღარ წავალ, ესა და ეს — თვალებს აბრიალებდა ჩილავერტი.
„ჩილავერტს ტყუილად ჰქვია, რომ დამერი“ — ბრაზილია რომერი.
ერთი თვის წინანდელი ამბებით თუ ვიმსჯელებთ, ჩილავერტმა გაიმარჯვა. 22 აპრილს იტალიაში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად პარაგვაის ნაკრებში შემადგენლობაში რომერი არ იყო.

პარაგვაელთა დღევანდელ ნაკრებს ერთი გამოკვეთილი თვისება აქვს — შინაშელობა. გუნდში საყარებო გაკვეთილი მეკარე სოსე ლუის ჩილავერტი სარგებლობს, პოლა, ეს ჩილავერტი ერთი წინ წყალს ამღვრევდა, იმუქრებოდა, თუ ვეტირან ხულიო სესარ რომეროს დიდ ფეხბურთში დაბრუნებით, ნაკრებს ბოიკოტს გამოუცხადებო. მოგვხსენებთ, არელოების ბაცოლა სადმე ერთხელ რომ მოიკიდებს ფეხს, მერე მისი განდევნა უმნელებს საჭეპა. ასე მოუვიდა პარაგვაის, რომელიც აშშ-ში სასურთელ შეკრებაზე რომ გაემგზავრა, მისმა რამდენიმე ფეხბურთელმა ურჩობა და შინ დარჩენა ამჯობინა.



პარაგვაის ნაკრები. დგანან: აიალა, არსე, ჩილავერტი, გამარა, კანისა, სანაბრია; სხედან: აკუნია, რიკარდო როხასი, რინარდ ბაესი, კარდოსო, ბურდიერი

რებდა საამაყო სახელს — „თავისუფალი მსოფლიო“. 1937-39 წლებში „თავისუფალი მსოფლიო“ 130 გოლი შეაგდო, ორჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი.

ნაკრების კანდიდატები

ბერტადორესის თასის მოიპოვება, ძალიან ხშირად იღებს ნიღოლ ბარათებს. ერთი საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში „აი-ქსთან“ შეხვედრამაც მიიღო.

სუან რამოსი ხარა, როსარიო სენტრალი, არგენტინა (27, 18) — კარგად თამაშობს მარცხენა ფეხით როგორც დაცვაში, ასევე ნახევარდაცვაში და შეტევაში.

ბრნალდო ესპინოლა, ინტერნაციონალი, ბრაზილია (22, 3) — ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია, მაგრამ გამოცდილება აკლია.

რიპარდო როხასი, ესტუდიანტესი, არგენტინა (27, 5) — სათადარიგო მცველია, რომელსაც ორთაბრძოლების დროს მუვლუგუნების კერა არ ჰქვია.

პედრო სარაბინა, რივერ პლეტი, არგენტინა (22, 16) — 22 აპრილს ამხანაგურ შეხვედრაში იტალიას გოლი გაუტანა.

ნახევარმცველები
ესტანილაო სტრუპეი, კორიტობა (29, 18) — მებრძოლია, ხშირად ართმევეს მეტოქეს ბურთს. ცოტა ხნის წინ ბრაზილიურ „პორტუგუზაში“ თამაშობდა, სადაც მწერტელობა ერთ-ერთ თამაშში რომ შეეცვალა, უკმაყოფილო მისიური დაავადდა, რისთვისაც გუნდიდან გააძევეს.

როზარტო პაუნიბა, რეალ სარაგოსა, ესპანეთი (26, 40) — გამომამშებელია, დიდი შემოქმედებითი ნიჭი აქვს. როცა ჩილავერტი არ თამაშობს, პენალტებს ის არტყამს.

სორსა პალკარასი, კერო პორტენო (29, 12) — ხშირად სათადარიგოა, თვალის უფრო შეტევისკენ უჭირავს. სახელი ასუნსიონის „ოლიმპიკაში“ გაითქვა.

უპო ბრინსუალა, არგენტინის ხუნიორსი, არგენტინა (27, 7) — თვალის მასაც შეტევისკენ უჭირავს. სათადარიგოა.

სულიო სესარ რომარი, სპორტივო ლუკენო (38, 66) — მის დაბრუნებას არავინ ელოდა. მეტსახელად რომერიტოს უწოდებენ. იგი ბრაზილიაში შეარქვეს, სადაც დიდხანს თამაშობდა. მონანილემობა აქვს მიღებული 1986 წლის ჩემპიონატში.

გუსტავო სიტელე, გუარანი (30, 13) — ბოლო ორი წელიწადი, ხან სა-

როგორც წესი, თამაშს არ აგებს. აქ ამ სტადიონზე ბოლო ათ წელიწადში გუარანი სულ ორჯერ დამარცხდა.

ზემოთ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ტიტული რომ ვახსენებთ, პარაგვაიმ პირველად სწორედ 50-იან წლებში, კერძოდ 53-ში მოიპოვა. მასმინ გადამწყვეტ შეხვედრაში გუარანი დამატებით დროში თვით ბრაზილიას სძლია — 3:2. მეორედ ეს წარმატება პარაგვაელთა 26 წლის შემდეგ გაიმეორეს და იქაც, ნაგუარინალში ბრაზილიელები დაჯანსიეს 2:1 (ფინალში პარაგვაიმ ჩილეს ორ თამაშში 3:0, 0:1 აჯობა).

საფრანგეთში ჩილავერტი და კანისა როსალდოს და მის მეგობრებს წესით არ უნდა შეხვდნენ, მაგრამ რომ შეხვდნენ...
რთში შედარებით ახალი კაცია. სახიფათო ფორვარდია.

უპო მოსკოლი, კერო პორტენო (26, 3) — საკლებო ფეხბურთში მნიშვნელოვანი გოლების გატანა ეხერხება. ადრე „გუარანიში“ თამაშობდა.

მიხაელ ბენიტსი, ესპანიოლი, ესპანეთი (27, 28) — ოთხი გოლით შესარჩევ ციკლში პარაგვაის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მანამდე, ფეხბურთის ფედერაციის ლანძღვის გამო თითქოს გუნდიდან იყო გაძევებული. სურს „ესპანიოლის“ დატოვება. „გუნდში საუკეთესო ფორვარდი ვარ და მიკვირს, ყოველთვის რად არ მათამაშებენ“ — ამბობს გაბრაზებული.

ვრანსისკო ესტანი, ოლიმპია (24, 19) — სათადარიგო ფორვარდია.

ეროვნული გიგანტობა

სუსტობა იმედია



1995 წელს პარაგვაის თითქოსდა უპირატესობა ნაკრებს ნათესავს მხოლოდ სეზარ კარუიანი ჩაუდგა და ორ წელიწადში უწედი იმ ძილად აქცია, რომლის დამარცხებაც ხუბისძიურისათვის უსწრესი საჭეპა.

მეკარეები

ხოსე ლუის ჩილავერტი, ველეს სარსილი, არგენტინა (31 წლისაა, ნაკრებში 36-ჯერ უთამაშია) — მეკარედაც ვარა და თან ჯარიმებით და პენალტებით გოლებიც გააქვს. ცნობილია იმითაც, რომ მოედნის გარეთ ისეთ რამეებს ამბობს, მეტოქეები სულ ცეცხლებს ჰყრიან ხოლმე. თანაგუნდელთათვის მისი მოედანზე ყოფნა გამხმევებას ნიშნავს. კაპიტანია. თავად ამბობს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ვარ.

რუბენ რუსი, მონტერეი (28, 11) — ჩილავერტივით პოპულარული არაა, თორემ ისე ამბობენ, როგორც ვოლკიპერი, მასზე ტენიფურიაო. ამასწინაც პარაგვაის ნაკრებს აშშ-ში არ გაემგზავა, რისთვისაც ფეხბურთის ფედერაციამ 15 ათასი დოლარი დააჯარიმა.

დანილო პაპეალი, უნიონი (22, 3) — პერსპექტიულ მეკარედია მიჩნეული.

მცველები

ვრანსისკო არსე, პალმეირასი, ბრაზილია (28, 26) — თითქოს უეჭველი გოლისგან ხშირად უხსნია კარი. ძალიან კარგად აწვდის მაღალ ბურთებს. ამბობენ, დღეს ბრაზილიის პირველობაზე მასზე კარგი მარჯვენა მცველი არ მოიპოვებო. 1995 წელს „გრემიოს“ შემადგენლობაში ლიბერტადორესის თასი აქვს მოპოვებული.

სელსო ანალა, რივერ პლეტი, არგენტინა (27, 39) — გამოცდილი ცენტრალური მცველია, რომელიც კარგადაც უტევეს. ჯარიმებისა და კუთხურების დროს მეტოქის საჯარიმოში ჩადის ხოლმე. 1996 წელს „რივერ პლეტის“ შემადგენლობაში ლიბერტადორესის თასი მოიგო.

პარლო ბამარა, კორინთიანსი, ბრაზილია (27, 44) — მსოფლიო კლასის მცველდაა მიჩნეული, ცოტა ხანი პორტუგალიურ „ბენფიკაში“ თამაშობდა.

სუან კარლოს ვილიამარინი, ატლეტიკო სელაია (29, 11) — ალბათ, საფრანგეთში სათადარიგოდ წაიყვანენ. გასულ წელიწადს ბრაზილიურ „კორინთიანსში“ ფეხი ვერ მოიკიდა.

პატალინო რიპაროლა, გრემიო, ბრაზილია (33, 45) — უკომპრომისო და უხეში, უკულტურო ცენტრალური მცველია. 1995 წელს ლი-

Table with 5 columns: Date, Team, Score, Goals, Goalscorers. Title: პარაგვაელთა უმადუბანი გოლი ორი წლის განმავლობაში

Table with 4 columns: Year, Goals, Opponent, Score. Title: პარაგვაი მონაწილეობდა ოთხ ასოფლიოს ჩემპიონატში

სარგებელი

ქართველოლოგი-ი (ქართველოლოგისა) იგი-
ვეა, რაც ქართველთმცოდნე.

ქართველოლოგია (ქართველოლოგიისა)
იგივეა, რაც ქართველთმცოდნეობა.

ქართველოლოგიური-ი (ქართველოლოგიუ-
რისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული,
სტრუქტურა... უფლება... ქართველოლოგიურ დის-
ციპლინებს (სახალხო განათლა).

ქართველური-ი (ქართველურისა) ქართველის
დამახასიათებელი. [სუბიონი] მაჟულის შვილი
იყო, ქართველი და ქართველური გრძობა ჰქონდა...
მაგრამ უსაბუთოდ სიკვდილი-ვი არ უსმობა (ა. ყაზბ.).
„სუბიონის შვილია შემოვიტვალათ კარგი ქართვე-
ლური მასშობლობისათვის“ (ი. გოგება). **ქართვე-
ლურად** ხმა. როგორც ქართველს შეეფერე-
ბა. ცხეს შიამიყებს, თვალს შიამიყებს, გამოიღ-
ვას. შიამის განიერაილებს, ერთს ქართველურად
იღვრე მასაბებს არავი, მაგ შენს ამწვანებულს
შამის (ნ. ხარაი). სტუპარი თავდაღუნვით ში-
ამისხობისს შამის და...

ქართლოსიანთა პენი პეპთან შეკრულან ფი-
(ა. აბაშ.).

ქართლური-ი (ქართლურისა) ქართლისათ-
ან ქართლელებისათვის დამახასიათებელი
ქართლიდან მომდინარე, — ქართლისა. ქ-
ლური კილი.

ქართული-ი (ქართულისა) 1. საქართველოს
ქართველების კუთვნილი, დამახასიათებელი
ქართული ენა. — ქართული ანბანი. — ფერე
ში... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართულ
ხელი ჰქვია (ი. გოგება). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქა-
ლი ნანა გვზრდიდა, აღგვეგავა მტერი რისხვით-
რავი (ან. კალანდა). 2. ქართული ენა. აკაკი
თელს არა ერთხელ... უმოქმედებია... თავისი
ლიანი სიტყვა, თავისი სიტყურით სავსე ქართ-
(ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას ე-
და ქართული (პ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა.
ნუ პეპსი...

ენის ამისთანა ქართულ
ი მოგახსენო“ (თ. რ-
ლი, არა ქმნას სიტყვა
ქართულია? რა სიტ-
იგი ქართულია კარ-
ამია. || სწორი ქარ-
ია. 4. ქართველ-
ული უმეცლესი ხალ-
გისა). ქართულად
ვაკვიტებ, ქართულად
მამ მშვენიერი ლექსი
ლად“ (შ. დადი-
ბაღრაძე ან. ი.
რომ არის, ისე-
შობის წინაღუ-
კალთზე... სა-
თუ უქარო დღეა,
|| სადაც ქარი
იფარება ტყე-
დატ. იხ. თავ-

ქართუ —
საქმიან ადამიანთა გურთიანება XX-ს-ს 90-ანი წლებს
საქართველოში. ეყუბნება რა წლებს, თანამშრომლო-
ბისა და საიმედოობის პრინციპებს, იგი ქვეა მრავალმხრივ
სამუშაო საქმიანობას და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს
მოიყვას. (დამატებითი ცნობებისათვის იხ. www.cartu.com).

დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვი
ვაკაცის აუგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთუ-
ლი ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავ-
ქარიანი.

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის
ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თავ-
ქარიანობა. 3. რთული ფუძის მეორე შე-
მადგენელი ნაწილი. თავქარიანობა.

ქარიბერტყია (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა,
რაც ქარაფშუტა. გუაგვა ტარიელ, თუ აუ-
თანდილოდ ქარიბერტყია გუსარი ხმალით! (გ. ლეონ-
ქარიზ-ი (ქარიზისა) [თურქ. ქარიზ „მიწის ქვე-
შა არხი“] ძვ. იხ. ტრუდო.

ქარიფანტია (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა,
რაც ქარაფშუტა.
ქარიფანტია.

ყოველივე ახალი კარგად დაფიქრებული ძეგლია.
არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძეგლდებიან, რომლებსაც მხოლოდ იფიქრებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან
თავისთავად ცხადსა და გასაკებს. მაგრამ გადის დრო და საქარო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.
საქარო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალჯერ გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც
გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველაგან, შინ და გარეთ, ღვაწლსა და სამსახურში, ბირად ცხოვრებასა თუ
საქმიან ურთიერთობებში.
წლობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...
სწორედ ეს მარტვი პრინციპებია ის პირველმხეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე სამიყველის
გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად იზარევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. წებისმეორ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი,
როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეყუბნება.
ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განვითარებული სახით ისინი ახლა თქვენთან
ბრუნდებიან.
ძველად სჯეროდათ, რომ წვიმითან ერთად წვიმის იდეაც არსებობს. თუ ამას ვინწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით
ჩვენს ყოფიას სითბო და სინათლე შევამატოთ.



ფორმულა 1 VI ეტაპი მონაკოს ღიდი პრიზი

მიკა — მონაკოს რჩეული

წყო. სტარტიდანვე პაკინენი დაწინაურდა. პირველი, ყველაზე რთული მოსახვევი პილოტებმა უპრობლემოდ გაიარეს, თითქმის იმავე თანმიმდევრობით, როგორც სტარტზე იყვნენ განლაგებული, მხოლოდ ალენი მოახერხა ამ ვიწრო ტრასაზეც მოელო ერთ-ერთი ადგილი. ვილნევემა კი სტარტი ცუდად აიღო და ერთი ადგილი დაკარგა. პირველივე წრეზე ესტებან ტუერიმ ვერ დაიმორჩილა „მინარდი“ და მისთვის რბოლაც დასრულდა. ორი წრის შემდეგ პაკინენი 2,6 წამს უგებდა თანაგუნდელს „მაკლარენის“ პილოტები ნელ-ნელა შორდებოდნენ მეტოქეებს და წრის რევეკორებსაც აუმაჯობებდნენ. ჯერ პაკინენმა გაიარა რამდენიმე წრეაფი წრე, შემდეგ კულპარდმა, საბოლოოდ რეკორდი კვლავ ფინელმა დაამყარა. მესამე ადგილზე მყოფი ფიზიკელა 10 წამით ჩამორჩებოდა მათ და საკმაოდ წარმატებულად უმკლავდებოდა შუშის შეტაკებას.

მათ უკან ვურცი მიდიოდა, რომელსაც უსაფრთხო დისტანციაზე ეჭირა მეექვსე ადგილისთვის მოაქვეყნებდნენ და ირვინი. ეს უკანასკნელი გერმანელზე სწრაფი გახლდათ და გამუდმებით ეძებდა „პაკინენს“ გასასწრებ ადგილს, ეს მანევრი კი



ფიზიკელამ მონაკოში პოლიუმშიც მოსინჯა


მონტე კარლოს ვიწრო ქუჩებში მეტად რთულია. საბოლოოდ ირლანდიელმა მკვეთრ და ნელ მარცხენა მოსახვევში დამუხრუჭებისას სცადა გასწრება, დაწინაურდა კიდევ. მაგრამ ფრენციენის „უილიამსის“ წამოიღო და ამან ბარიერში შეყო ცხვირი. ირლან-

დიელმა კი, ვითომც არაფერი, გააგრძელა რბოლა.

ლიდერებმა 17 წრე გაიარეს. კულპარდის ძრავამ ბოლი აუშვა და ბრიტანელი რბოლას გამოეთიშა. უწყვილოდ დარჩენილი პაკინენი კი 19 წამს უგებდა მეორეზე მყოფ ფიზიკელას, რომელსაც ვერაფერს უხერხებდა „ფერარის“ ლიდერი. რამდენიმე წრის შემდეგ კი ფინელმა პილოტმა ერთი წრით ჩამოიტოვა უმცროსი შუმასერი, მაგნუსენი, პილი და ვილნევი. შემდეგ მისი მანევრი ფიზიკელა-შუმის წყვილსაც გაიმეორა და გერმანელმა პილოტმა ბოქსებში შეუხვია საწვავის შესავსებად, იქიდან კი ვურცის უკან დაბრუნდა. ერთი წრის შემდეგ ფიზიკელამაც შეიარა ბოქსებში, მაგრამ კვლავ რბოლაში ჩაბმული შუმის უკან აღმოჩნდა. რაც გერმანელმა ტრასაზე ვერ მოახერხა, სწორმა ტაქტიკამ და მექანიკოსთა სიმარტემ შეძლო.

მისხელი გამუდმებით უტევდა ვურცს (რომელიც პირველად ასპარეზობდა მონტე კარლოში), მაგრამ ვერა და ვერ ჩამოიტოვა იგი. იმავე მოსახვევში, სადაც ირვინმა ფრენციენი ჩამოიშორა, ახალგაზრდა ავსტრიელმა შეკლამა დაუშვა, ტრასის გარე მხარეს ამოყო თავი, ამით ისარგებლა გერმანელმა და დაწინაურდა. ვურცი არ დაწვდა, ტრასის გარე კიდეზე გააგრძელა მოძრაობა და კვლავ გაასწრო შუმის, თუმც კი ბოლიდები ოდნავ შეეხო ერთმანეთს. მომდევნო მოსახვევში გერმანელი ისევ უკეთეს პოზიციაზე, მოსახვევის შიგა მხარეს აღმოჩნდა და ავსტრიელს გაასწრო, მაგრამ დაზიანებული უკანა ბორბლით ბოქსებს მიაკითხა. მანქანაც მიატოვა, მაგრამ მცირე მოლაპარაკების შემდეგ კვლავ ტრასას დაუბრუნდა, თუმც კი უკვე 3 წრით ჩამორჩებოდა ლიდერს. რამდენიმე წრის შემდეგ ვურცმაც შეიარა ბოქსებში საწვავის შესავსებად. ახალგაზრდა ავსტრიელს საუკეთესო შანსი ჰქონდა, რბოლა მეორე ადგილზე დაესრულებინა. მისი მთავარი მეტოქე ფიზიკელა კიდევ ერთ პიტ-სტოპს გეგმავდა, რაც ვურცს უპირატესობას აძლევდა, მაგრამ რამდენიმე წრეში გვირაბიდან ავსტრიელის დაზიანებული ბოლიდი გამოვიდა და ბარიერში ცხვირით გაერჭო.

ამ დროისთვის პაკინენი 21,8 წამს უგებდა ფიზიკელას, ეს უკანასკნელი კი 39 წამს ირვინს, რომელსაც ნელ-ნელა უახლოვდებოდა ალენი. ფრანგის უკან კი მიკა სალო და ვილნევი აგრძელებდნენ ასპარეზობას რამდენიმე წრის შემდეგ ალენის ძრავამაც ბოლი აუშვა. ფრანგი ცდილობდა, როგორმე დაესრულებინა რბოლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და 73-ე წრეზე ასპარეზობას გამოეთიშა. ამან დინცს საშუალება მისცა, მეექვსე ადგილზე გასულიყო და ერთი ქულაც მოეპოვებინა.



მიკა პაკინენი

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკში. ცხოვრობს მონაკოში. სიმაღლე 179 სმ, წონა 72 კგ. დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991 წ. აშშ-ის დიდი პრიზი, „ლოტუსი“. 102 რბოლა, 5 გამარჯვება, 5 პოული, 5 საუკეთესო წრე, 164 ქულა.

მიკა პაკინენი მონტე კარლოში მეორედ გამოვიდა სტარტზე და პირველად შეძლო დისტანციის ბოლომდე გავლა მართალია, 1996 წელს მან ჩასათვალელი ქულა მიიღო, მაგრამ ირვინთან შეჯახების გამო დროზე ადრე დაამთავრა რბოლა.

იგი მეორე ფინელი გახლავთ, ვინაც მონტე კარლოში იზიმა გამარჯვება. ეს პატივი მანამდე, 1983 წელს კემე როზბერგს ერგო. სწორედ ამ ორმა პილოტმა მოიპოვა პირველობა ფორმულა 1-ის ტრასაზე, თანაც ორივემ 5-5-ჯერ. ამ გამარჯვების შემდეგ პაკინენი პირად ჩათვალა 17 ქულას უგებს მეორე-ადგილოსან დევიდ კულპარდს, ხოლო მესამეზე მყოფი მისხელი შუმასერი 22 ქულით ჩამორჩება ფინელ პილოტს. მიკამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონის გვირგვინისკენ და დიდი შანსი აქვს, იგი მეორედ ჩაიტანოს ფინეთში.

თუმცა კი ეს მონაპოვარი ბოლო წრეზე კინამდ დააკარგინა მისხელი შუმასერმა, რომელიც მიკანში შესვლისას ბარიერს წაბოლო, მოცურდა და დინციის „ეროუსის“ გვაირანად უთავაზო უქნიდა. საბედნიეროდ, ბრაზილიელს არაფერი დაშავებია და „ეროუსის“ ორივე პილოტმა წლეულს პირველად დაასრულა ასპარეზობა ჩასათვალელ ექვსეულში.

Table with 2 columns: Rank, Driver Name, Points, and other details. Includes drivers like Hakkinen, Villeneuve, Irvine, Salo, etc.

Table with 2 columns: Driver Name, Points, and other details. Includes Hakkinen 122,948, Villeneuve 146,130, etc.

მიკა პაკინენმა წლეულს მეოთხე გამარჯვება იზიმა და 23-ე პილოტი გახდა, ვისაც მონტე კარლოში მოუგია რბოლა. ფიზიკელამ მეორე ადგილით, ვურცმა კი შესანიშნავად ჩატარებული რბოლით დაამტკიცეს რომ „ბენტონი“ შესანიშნავ ფორმაშია და აშკარად სჯობის „უილიამსს“.

„ეროუსის“ წარმატებამ კი დაგვანახა, რომ ეს გუნდიც სძლევს კრიზისს და მომავალში, ალბათ, საშუალონებს - „ზაუბერს“, „ჯორდანს“ და „პროსტს“ კიდევ ერთი მეტოქე გაუჩნდება.

კარგად იასპარეზა ვილნევემაც, რომელმაც ორი ქულა მოიპოვა, თუმც კი ეს მირითადად თავისი მაღალი კლასის და სწორი ტაქტიკის ხარჯზე შეძლო. მომავალი რბოლა ჟაკის სამშობლოში, მისი მამის სახელობის ტრასაზე ტარდება და „უილიამსს“ ამ ეტაპისთვის სრულად ახალი ბოლიდის მომზადებას ჰპირდება ჩემპიონს, რომელიც გამუდმებით ურვის თავისი ბოლიდის უვარვისობას.

ალექსი ხაბუპიანი

Table titled 'განლაგება სტარტზე' showing starting positions for drivers like Hakkinen, Villeneuve, Irvine, Salo, etc.

Table titled 'FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP' showing race results for drivers like Hakkinen, Villeneuve, Irvine, Salo, etc.

